

# რელიგიური სასკოლო გარემოს გავლენა სოციალურ ქცევაზე

დოდო გოგობია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ვარდანაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დოდო გოგოხია

## სარჩევი

|   |    |
|---|----|
| აბსტრაქტი .....   | IV |
| შესავალი.....   | 1  |
| საკვლევი საკითხის აქტუალობა .....                       | 1  |
| სოციალური გარემო საქართველოში.....                      | 3  |
| ლიტერატურის მიმოხილვა.....                              | 5  |
| ალტრუიზმი .....   | 5  |
| ავტორიტეტებისადმი ბრმა მორჩილება .....                  | 8  |
| სოციალური ქცევა და მორალური განსჯა.....                 | 12 |
| კვლევის მიზანი .....                                    | 15 |
| კვლევის კითხვები.....                                   | 15 |
| კვლევის ჰიპოთეზები: .....                               | 15 |
| მეთოდოლოგიური ნაწილი.....                               | 15 |
| მონაწილეები: .....                                      | 15 |
| პროცედურის აღწერა .....                                 | 16 |
| დამოუკიდებელი ცვლადი.....                               | 16 |
| დამოკიდებული ცვლადები .....                             | 18 |
| ავტორიტეტებისადმი მორჩილება.....                        | 18 |
| ალტრუიზმი .....   | 21 |
| შედეგები.....   | 22 |
| ავტორიტეტებისადმი ბრმა მორჩილების კვლევის შედეგები..... | 22 |

|  |    |
|--|----|
| ალტრუიზმის კვლევის შედეგები .....          | 24 |
| კვლევის დეტალები.....                      | 25 |
| შედეგების ანალიზი .....                    | 27 |
| დასკვნა .....                              | 34 |
| რეკომენდაციები სამომავლო კვლევისთვის ..... | 36 |
| ბიბლიოგრაფია: .....                        | 38 |
| დანართი N1 .....                           | 41 |

## აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს კავშირი რელიგიურ სასკოლო გარემოსა და პროსოციალურ ქცევას შორის. პროსოციალური ქცევის პრედიქტორად მოიაზრება ალტრუიზმის დონის მაღალი და ავტორიტეტებისადმი ბრმა მორჩილების დონის დაბალი მაჩვენებელი.

კვლევა ვარაუდობს, რომ რელიგიური სასკოლო გარემოს მქონე ბავშვებში უფრო მაღალი უნდა იყოს ალტრუიზმისა და ავტორიტეტებისადმი მორჩილების მაჩვენებელი, ვიდრე კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებულ სასკოლო გარემოს მქონე ბავშვებში.

ვინაიდან ალტრუიზმი და ავტორიტეტებისადმი მორჩილება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მორალური განვითარების ეტაპებზე, ასაკობრივ ჯგუფად განისაზღვრა მეექვსე კლასის მოსწავლეები, რომელთა საშუალო ასაკი 11-12 წელია. კოლბერგის მიხედვით ბავშვები სწორედ ამ ასაკში იწყებენ კონვენციურ აზროვნებას, ცდილობენ გაამართლონ სოციუმის მოლოდინები, იყვინენ საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში და „კარგი გოგო/კარგი ბიჭის“ შთაბეჭდილების მოხდენა შეძლონ. შესაბამისად, სავარაუდო იყო, რომ ბავშვებს სწორედ ამ ასაკში გამოავლინათ, თუ რა მოთხოვნებს უყენებს მათ გარემო.

საკვლევ ობიექტებად ხელმისაწვდომი შერჩევით შეირჩა თბილისის სამი სკოლა; რელიგიური გარემოს მქონე სკოლად განისაზღვრა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა, კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებულ გარემოს მქონე სკოლად - თბილისის არქიმედეს სკოლა, ხოლო თბილისის 192 საჯარო სკოლა წარმოადგენდა საკონტროლო ჯგუფს. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად თითოეული სკოლიდან გამოიყო ბავშვების გარკვეული რაოდენობა: წმინდა ნინოს სკოლიდან -24, არქიმედეს სკოლიდან - 28, ხოლო საჯარო სკოლიდან - 23 მოსწავლე, სულ - 75 ბავშვი.

ბავშვებში ავტორიტეტებისადმი მორჩილებისა და ალტრუიზმის დონის გასაზომად ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა. პროცედურული ნაწილი მოიცავდა ორ კომპონენტს: ჩვენ მიერ შედგენილი ავტორიტეტებისადმი მორჩილების ტესტს და თამაშ „დიქტატორს“, რომელსაც უნდა შეემოწმებინა ალტრუიზმის დონე კლასში.

გარდა ამისა, ისინი პასუხს სცემდნენ შეკითხვას, შეასრულებდნენ თუ არა მათთვის ავტორიტეტული ადამიანების: მშობლის, მასწავლებლის, ან მოძღვრის დავალებას, მიუხედავად იმისა, რომ თავად არასწორად მიაჩნდათ ეს საქციელი და თუ შეასრულებდნენ, ან არ შეასრულებდნენ, რატომ.

კვლევის ჰიპოთეზები არ გამართლდა, რელიგიური სასკოლო გარემოს მქონე სკოლის მოსწავლეებმა არ გამოავლინეს ალტრუიზმისა და ავტორიტეტებისადმი მორჩილების ყველაზე მაღალი დონე. ავტორიტეტებისადმი მორჩილების ტესტმა არ აჩვენა ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება, თუმცა ავტორიტეტული ადამიანების დავალების შესრულებაზე თანხმობის მიხედვით მორჩილების ყველაზე მაღალი დონე გამოვლინდა საკონტროლო ჯგუფის - საჯარო სკოლის მოსწავლეებში, ხოლო ავტორიტეტებისადმი მორჩილების ყველაზე დაბალი დონე - კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს მქონე ბავშვებში.

მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ჯგუფებს შორის ალტრუიზმის კუთხითაც. ალტრუიზმის ყველაზე მაღალი დონე გამოვლინდა საჯარო სკოლაში, ხოლო ყველაზე დაბალი დონე - რელიგიური სასკოლო გარემოს მქონე სკოლაში.

**საძიებო სიტყვები:** რელიგიური სასკოლო გარემო, კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო, საჯარო სკოლა, ავტორიტეტებისადმი ბრმა მორჩილება, ალტრუიზმი, საქართველო;

## **Abstract**

*The purpose of the study is to identify the relationship between religious school environment and pro-social behavior. Predictor of pro-social behavior is a high level of altruism and a low level of blind obedience to authority.*

*The study suggests, that the index of altruism and obedience to authority among children from religious school environment should be higher than among those from school environment oriented on critical thinking.*

*Provided that altruism and obedience to authority significantly depends on the stage of moral development, the age group was determined by sixth graders - the average age of 11-12. According to Kohlberg, children begin to think conventionally at this very age, trying to meet expectations of the community, satisfy their demands and strive to prove themselves to be “a good girl/good boy”. Accordingly, we expected that children would disclose requirements they are experiencing from the environment.*

*Three schools of Tbilisi were selected as available objectives: for the religious environment - St. Nino Orthodox school of the Georgian Patriarchate, for critical thinking environment – Tbilisi Archimedes school, while Tbilisi 192th school was selected as a control group. A total of 75 students were selected: 24 from St. Nino school, 28 from Archimedes school and 23 from 192th school.*

*In order to measure a level of obedience to authority and altruism, experimental research was held. The procedure consisted from two components: test of obedience to authority that we developed and a game “dictator”, which was aiming to reveal level of altruism in the class. Besides, children had to answer the question – whether they will carry out tasks of authoritative persons, such as parents, teachers or priests, if they do not consider them correct, and why?*

*Suggested hypotheses before research were not justified. Children from the religious environment did not demonstrate the highest level of obedience to authority and altruism. Test of obedience to authority did not show any significant difference, however, a highest level of*

*obedience was found among the children of control group – representatives of public school and the lowest level of obedience – among the students of the school focused on critical thinking.*

*High difference was revealed between groups in relation of altruism. Students of public school demonstrated the highest level while students of the school with the religious environment showed the lowest.*

**keywords:** *religious school environment, school environment focused on critical thinking, public school, blind obedience to authority, altruism, Georgia;*